ხუთშაბათი, 1 ნოემბ. 1907 წ.

# ისარი

წელიწადი პირველი—№ 240

გაზეთი «ისარი» ერთის წლით ღირს ტფილისში 7 მან., ნახევარი წლით—4 მან., ერთის თვით ტფილისში—75 კაპ. ტფილისს გარედ—80 კაპ. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ სადამდს 5 საათამდე ღირს 3 მან., ხუთი საათის შემდეგ—მეტი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «ისრის» რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია დიდხანს არ ინახავს. ინახება ერთი თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისათვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან—40 კაპ.

ცალკე ნომერი ყველგან 5 კაპ.

რედაქციისა და კანტორის ადრესი: ტფილისი, ელისაბედის ქუჩა, № 1.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція «ИСАРИ»

ანნა ნიკოლოზის ასული, სიკო ნიკოლოზის ძე, იოსებ, ალექსანდრე და დავით სიკოს ძენი მაჭავარიანები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, 3 ნოემბერს, წმ. ნინოს კუკიის სასაფლაოს ტაძარში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი

## ნიკოლოზ სიკოს ძის მაჭავარიანის

სულის მოსახსენიებლად. (1—392—1)

მოკლე ხანში გამოვა № 1 სამეცნიერო-სალიტერატურო და პედაგოგიურ ჟურნალისა, სახელწოდებით

## „განათლება“

ჟურნალში დაიბეჭდება შემდეგი შინაარსის წერილები:

მთავრობის განკარგულებანი; სტატიები, შენიშვნები და რეფერატები სწავლა-განათლების შესახებ, როგორც სკოლაში, ისე სკოლის გარეშე; ორიგინალური და ნათარგმნი სტატიები სამეცნიერო პოპულიარულ ხასიათისა პედაგოგიიდან, პსიხოლოგიიდან, სასკოლო ჰიგიენიდან, სანიტარიიდან, ბუნების-მეტყველებიდან და საზოგადო მეცნიერებიდან; სამეცნიერო პოპულიარული ლექსები სურათებით სახალხო კითხვებისა და სახალხო უნივერსიტეტებისათვის; სამაგალითო გაკვეთილები დაწყების და საშუალო სკოლების სასწავლო საგნებიდან; პროგრამების შემუშავება ყველა ტიპის სკოლებისათვის. პედაგოგიურ იდეების განვითარება საქართველოში, რუსეთში და საზღვარ-გარედ; მნიშვნელობა მასწავლებელთა კავშირისა საზოგადოდ და განხილვა არსებულ კავშირებისა და მასწავლებელთა საზოგადოების წესდებებისა; სახალხო თეატრი და ბიბლიოთეკები; გამოცემა და გავრცელება სახალხო წიგნებისა; შინაურ და უცხოეთის ქრონიკა; სიტყვა-კაზმული მწერლობა: მოთხრობები, ლექსები, ბიოგრაფიები; პუბლიცისტიკა, კორესპონდენციები, ბეჭდვითი სიტყვის მიმოხილვა, სამეცნიერო მიმოხილვა; კრიტიკა და ბიბლიოგრაფია, განცხადება.

ხელის მომწერთათვის წლიური ფასი 5 მანეთი, ნახევარის წლით 3 მან., სამის თვით 1 მ. 60 კ., საზღვარ-გარედ 7 მანეთი.

წერილების ადრესი: ქართულ გიმნაზია, ან ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება

(5—3) რედაქტორ-გამომცემელი ლ. გ. ბოცვაძე.

იბეჭდება და ნოემბრის დამლევს გამოვა

## დროების კალენდარი

დამდეგი 1908 წლისათვის.

კალენდარი შეიცავს რამდენიმე განყოფილებას, რომელშიაც მოთავსებული იქნება: საკალენდრო ცნობები, რუსეთის იმპერატორების გვარეულობა და მათი ქონება, საქართველოს რუსეთთან შეერთების ტრაქტატი, ასტრონომიული ცნობები, ფოსტა-ტელეგრაფისა და რკინისგზის ცნობები, უცხოეთის სახელმწიფოების ცნობები, პოლიტიკურ პარტიების პროგრამები, სტატისტიკური ცნობები, იურიდიული ცნობები, საექიმო და სამეურნეო ცნობები, შესანიშნავი ამბები 1905—1907 წ. მომხდარი და მრავალი სხვა ცნობები.

✦ კალენდარში დაიბეჭდება ყოველგვარი განცხადებანი ✦

ადრესი: ტფილისი, „იდეალის“ სტამბა „დროების კალენდრის“ გამომცემელს.

კახური ღვინით ვაჭრობა

## „ზირნა“

ახლად მივიღეთ დიდ ძალი საუკეთესო

## კახური ღვინოები

ფასები ზომიერია — ფასები ზომიერია

ნიკოლოზის და გეიდენოვის კუთხე, № 17.

ტფილისში. (50—262—18)

ელექტრონის და რენტგენის სამკურნალო კაბინეტი

### მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილის 12—1, საღამოს 6—7 საათ. ყორღანოვის ქ., ვერაზე; საკ. სახლი № 20 ტელ. 791. (0—5.—33)

ექიმი ქალი

### ს. ზ. მირზოევისა

მიიღებს თვალებით ავათმყოფებს ყოველ-დღე გარდა შაბათობით $1^1/_2$—$2^1/_2$ სოლოლაკის ქუჩა № 6. (25—364—14)

ექიმი

### მ. მაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.უ—00)

თვალის ექიმი

### ზ. მ. ცხვედაძე

დორპატის უნივერსიტეტის კლინიკაში ასისტენტად ნამყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—1 ს. და საღამოს 6—7 ს. ვერა ოლღას ქუჩა, № 31, სახლი სარაჯიშვილისა. (30—345—04)

ქ. ქუთაისში

### ექიმი ი. ი. ჩარექოვი

იღებს განსაკუთრებით ვენერიულ, შარდსასდენ და კანით ავადმყოფებს. სწამლობს მუწუკებს, ძირმაგრებს, ბუგონებს და სხ. უოპერაციოდ პროფ. ზიერის მეთოდი. 12—2 საათამდის. გეგუთის ქუჩა, აბულაძის შესახვევი, იოსელიანის სახლში. (27—ფ.—24)

კბილის ექიმი

### ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, —7 საათზე. ვერა ოლღას ქუჩა, № 25- (0—213)

კბილის ექიმი

### ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდივნისა. (64)

ქუთაისში

კბილის ექიმი ქალი

### ე. დ. ნასარიძე

იღებს ავათმყოფებს ექიმ ნასარიძის ბინაზე. (346)

ექიმი

### ივ. გომართელი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 საათამდე, საღამოთი 5—7 საათამდე. გოლოვინის პროსპ. № 33. (25—392—5)

დოქტორი მედიცინისა

### გ. გ. გურგენოვი

ყოფილი საშტატო ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის საქალო ავადმყოფობისა და ბებიობის კლინიკისა გადავიდა გოლოვინის პროსპ., № 12 საარტისტო საზ. თეატრის პირდაპირ. ავად მყოფების მიღება 12—2 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. (25—355—17)

ყურის, ცხვირის და ყელის ექიმი

### ნ. ა. სტეფანიანცი

იღებს ყოველდღე ავადმყოფებს- შუადღის 12—2 ს., საღამოთი 5—7 საათამდე, მიხაილოვის ქუჩა № 114 „ვეტცელის“ სასტუმროს პირდაპირ. (50—385—6)

ექიმი

### ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს

იღებს ყოველდღე შუადღის 12—1 საათამდე. საღამოთი 6—8 საათამდე. ხუთშაბათობით მხოლოთ დილით 8—9-დე. კვირაობით ავადმყოფებს არ მიიღებს. ყორღანოვის ქუჩა № 14.

ექიმი

### ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილის 9—$11^1/_2$. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

## ჰპისრულოგ

ხელნაწერების შესწორებასა და თარგმნას: რუსულიდან ქართულად და ქართულიდან რუსულად. იკითხეთ „ისრის“ რედაქციაში.

## სტუდენტი

საჭიროა სოფლად, რომელიც ტფილისიდან $2^1/_2$ საათის სავალ მანძილზე იმყოფება. უპირატესია, თუ ფრანგულის მცოდნეც იქნება.

ადრესი: Измайловская ул. д. № 38, кв. 5. (1—397—1)

ც ნ ო ბ ი ლ ი

## ქალთა სამკერვალო

„SALON MODES“

სოლოლაკში, სერგეევის ქუჩაზე № 1—9 განაგრძობს თავის მოქმედებას. ღებულობს შესაკერად ყოველ-ნაირ ქალის ტანისამოსს, იყვანს მოწაფეებს და ასწავლის ჭრა-კერვას და ქარგვას.

სამკერვალო შესდგება იმავე ოსტატებისაგან.

გამგედ სამკერვალოისა არიან: უფროსი ოსტატი ქალ. ეკატერინე ვაშალომიძის ასული და ქალბ. რაისო თოხაძისა. (25—6.—25)

## ტფილისი, 1 ნოემბერი.

დღეს, 1-ლ ნოემბერს, იხსნება მესამე სახ. სათათბირო. არც ნატვრა, არც იმედი: გულგრილად ეგებება რუსეთი ახალ საკანონმდებლო წარმომადგენლობას, რადგან იგი აღარაა სახალხო, აღარაა ხალხის სურვილებისა და მოთხოვნათა გამომხატველი. გამოქნილმა ფალსიფიკატორმა —რუსეთის ბიუროკრატიამ—მოახერხა და ხელოვნური შირმა დაიდგა, რომლის უკან უცილობლად განაგრძობს ქვეყნის მართვასა და პატრონობას. მისი ურჩი ოპოზიცია ძლივს ერთ მესამედს შეადგენს სათათბიროსას და ეს მცირე ჯგუფი ხალხის ნამდვილ წარმომადგენლებისა რა წინააღმდეგობას გაუწევს ძლევამოსილს რეაქციას? არავინ ტყუვდება, არავის არც ერთი ილლიუზია არ ახალისებს: ყველა დარწმუნებულია, რომ 3 ივნისის კანონის მეოხებით შეზავებული ვითომდა სახალხო წარმომადგენლობა ახალი განსაცდელია, რომელიც მრავალტანჯულ რუსეთს მოუვლინა ისტორიამ...

ვინ ეპატრონებიან რუსეთის პარლამენტს? დაუძინებელნი მტერნი რუსეთის განახლებისა, განმათავისუფლებელ მოძრაობისა,—ის რაინდნი ძველის რეჟიმისა, რომელნიც ანგარებით თუ უმეცრებით მზად არიან ხელი შეუშალონ ყველაფერს, რასაც-კი რუსეთის ხალხის დიდი უმრავლესობა მოითხოვდა და მოელოდა ამ ორის წლის განმავლობაში; ის ღამის რაინდები, რომელნიც სოროებში შეძვრნენ, როცა თავისუფლების მზის პირველმა შუქმა გამოანათა, ხოლო ისევ გამოინავარდეს, როცა ბნელმა ძალამ დროებით ხელახლა შეჰბორკა ქვეყანა. ამ რაინდებს, ამ შავბნელ ძალებს ჩაუვარდათ ხელში პარლამენტი და რა ხეირს უნდა მოელოდეს ხალხი? ერთი ნაწილი მათგან—ოქტომბრისტები—ის ორპირი და ორგული ელემენტებია, რომელთაც ვითომ მართლა სწადიათ კონსტიტუციის დამყარება, მაგრამ ნამდვილად მთავრობის ყურმოჭრილი მონები არიან და იმ წამსვე უღალატებენ ხალხს, რუსეთს, 17 ოქტომბერს, რა წამს კამარილია მოისურვებს ამას. მეორე ნაწილი და უმრავლესიც ის ელემენტებია, რომელნიც სრულებითაც არ ჰფარავენ თავის სიძულვილს „ახალის რუსეთისადმი“ და აშკარად ემზადებიან იმავ დაწესებულების დაკრძალვას, რომელიც ძალადობითა და მოტყუებით ჩაიგდეს ხელში.

დიახ, მესამე სათათბირო ახალი განსაცდელია რუსეთისათვის... მაგრამ, შეიძლება იმასაც ექნეს ერთი მნიშვნელობა, შეიძლება ქვეყანას დაანახვოს, რომ იქ გაჩერება არ შეიძლება, სადაც განმათავისუფლებელი მოძრაობა გაჩერდა. შავბნელ ძალების მუშაობას ახდილად, ქვეყნის წინაშე ეს უარყოფითი, მაგრამ საჭირო მნიშვნელობა უნდა ექნეს: ალბად, მან უნდა ყველას შეასმენინოს, რომ რუსეთის ბიუროკრატია და მისი ერთგულნი ყმები სრულებით გაკოტრებულნი და გათახსირებულნი არიან და რომ მათ არა თუ არ შეუძლიათ რუსეთის დამშვიდება, რუსეთში მოქალაქობრივ ცხოვრების აღდგენა, არამედ ძალუძთ მხოლოდ კრიზისის გორკეცება და რუსეთის დაყენება დაშლისა და დაღუპვის გზაზე.

მაშინ, მხოლოდ მაშინ კვლავ აბობოქრდება საზოგადოებრივ ძალთა ტალღა, რომელიც შემუსრავს და ძირს დაამხობს რუსეთის ხალხთა ცხოვრების შემბორკველ სულთამხუთავს ბნელ ძალას. მანამდის კი ტყუილია ყოველი იმედი, ვითომ მთავრობა გონს მოვიდეს, ვითომ რომელმამე სათათბირომ მოახერხოს ნელის ნაბიჯით რუსეთის ხსნა...

## საარჩევნო ამოცანის გარშემო

ორი კვირა შესრულდა, რაც ჩვენში სახელმწიფო სათათბიროს წევრები აირჩიეს, მაგრამ ამ არჩევნების ნაყოფი დღესაც ისევ სფინქსისებურ გამოცანასავით ამაყად სდგას იმ მიმართულების წინაშე, რომელსაც გამარჯვება ჰხვდა წილად, და მედიდურად მოუწოდებს მას, აბა გამომიცან, თუ ძალა შეგწევსო. ჯერ „ჩვენი გზა“ და ეხლა „წყარო“ მრავალგზის დასტრიალებენ გარშემო ამ ამოცანას, მაგრამ მაინც ვერაფერი გაუწყვიათ.

ჩვენის ფიქრით, „ჩვენ გზას“ და „წყაროს“ უმთავრესად იმიტომ უძნელდებათ უკანასკნელ არჩევნების ნაყოფის საზოგადოებრივ მნიშვნელობის მიგნება და შეგნება, რომ ისინი მიუდგომელ საზოგადოებრივ კრიტიკის ნაცვლად პარტიულ თავმოყვარეობის და პარტიულ პოლემიკის იარაღით სცდილობენ ფაქტის ახსნას. პარტიულის პოლემიკით გატაცებულნი კი—უიმისოდაც რთულს საზოგადოებრივ ფაქტს, ნაცვლად განმარტივებისა, უფრო ართულებენ და მით მის შეგნების გზას თითონვე იხშობენ.

არჩევნების ნაყოფი საარჩევნო ბრძოლის შედეგია, იგი სხვა და სხვა კატეგორიის ამრჩეველთა ძალების საურთიერთო განწყობილების გამოხატულებაა; როგორც სინათლის შუქი სარკეში თავის გამოხატულების მიმართულებას იცვლის იმისდა მიხედვით, თუ რა მოყვანილებისაა თვით სარკე, ისე საზოგადოებრივ ძალთა საურთიერთო განწყობილება იცვლის არჩევნებში თავის გამოხატულების მიმართულებას იმისდა მიხედვით, თუ როგორაა მოწყობილი თვით არჩევნები. ამიტომ, პირდაპირი დასკვნა არჩევნების ნაყოფიდან საზოგადოებრივ ძალთა ურთიერთობისაკენ ისეთივე შეცდომაა, როგორც პირდაპირი დასკვნა სარკეში შუქის გამოსახულების მიმართულებიდან თვით სინათლის შუქის მიმართულებაზე. პირდაპირი დასკვნის ნაცვლად საჭიროა ნავარაუდევი და ნაანგარიშევი იქნას ის გავლენა, რომელიც წარმოსდგება არჩევნების (და, ჩვენს მაგალითში, სარკის) მოყვანილებისაგან და რომელიც არჩევნების ნაყოფს (ჩვენს მაგალითში სარკეში შუქის გამოსახულებას) გადაჰხრის ნამდვილად არსებულ ძალთა ურთიერთობის პოზიციიდან. ეს არის ერთად-ერთი უცილობელი და ჭეშმარიტი წესი არჩევნების ნაყოფით საზოგადოებრივ ძალთა ურთიერთობის გამოსაცნობად. ამ წესის უეჭველი ჭეშმარიტება ჰხდის უეჭველად, სხვათა შორის, იმ აზრსაც, რომ, მიუხედავად მესამე სათათბიროს შავრაზმულ და კონსერვატორულ შედგენილებისა, მიუხედავად შავრაზმელების და კონსერვატორების გამარჯვებისა საარჩევნო ბრძოლაში, მაინც რუსეთის მცხოვრებთა უმრავლესობა ოპოზიციონურად არის განწყობილი და არა შავრაზმულად ან კონსერვატორულად, რომ საარჩევნო კანონის მოყვანილებას და არა კონსერვატორულ ელემენტების ძლიერებას მიეწერება დამარცხება ოპოზიციისა რუსეთის უკანასკნელ არჩევნებში.

ცხადია, რომ არჩევნების ნაყოფის საზოგადოებრივ მნიშვნელობის შესაგნებლად ყოვლის უწინარეს საჭიროა გათვალისწინება თვით არჩევნების მოწყობილებისა, მაგრამ მხოლოდ არჩევნების მოწყობილების ანუ მოყვანილებისა და არა ისეთი რამ გარემოებებისა, რომელთაც არავითარი კავშირი არა ჰქონიათ არჩევნების პროცესსთან. თუ ასეთს, არჩევნების გარეშე მდგომ, გარემოებებს, გამოვეკიდეთ და იმის ვარაუდობა დავიწყეთ, თუ რა გავლენას იქონიებდა ეს გარეშე გარემოება არჩევნებზე, მაშინ ჩვენ ძალიან ადვილად აგვისხლტება ფეხი სიმართლის გზიდან და არჩევნების ნაყოფს ისეთს აზრს მივცემთ, რომელიც მას სრულიად არა აქვს. ეს იქნება უაზრო გართულება უიმისოდაც რთულის საკითხისა, ეს იქნება დაშორება სიმართლისა და არა მისი მოახლოვება.

არჩევნების მოყვანილება, რომელიც ყოვლის უწინარეს უნდა იქნას გათვალისწინებული, სხვა და სხვა მომენტის ანუ პირობისაგან შესდგება. ეს მომენტებია: საარჩევნო უფლება, საარჩევნო ჯგუფები, საარჩევნო საფეხურები, საარჩევნო აგიტაცია, საარჩევნო ბრძოლის საშუალებანი, ფაქტიური მონაწილეობა ხალხისა არჩევნებში და მრავალი სხვა. ამ ჟამად ჩვენთვის უფრო საინტერესო ისაა, თუ რა გავლენა აქვს არჩევნებზე ხალხის ფაქტიურ მონაწილეობას. არჩევნებში მონაწილეობის მიუღებლობა ან პოლიტიკური გულგრილობაა (აბსენტეიზმი) და ან პროტესტი თვით არჩევნების ან იმის განსაზღვრულ ფორმის წინააღმდეგ (ბოიკოტი). ბოიკოტის თუ აბსენტეიზმის მიზეზით გადუდგება არჩევნებს და საარჩევნო ბრძოლას ხალხის რომელიმე ნაწილი.—სულ ერთია, ორსავე შემთხვევაში ეს ნაწილი ხალხისა საზოგადოებრივ ძალთა იმ განწყობილების გარეშე სდგება, რომელიც არჩევნების დასრულების შემდეგ გამოისახება არჩევნების ნაყოფით. საზოგადოებრივ ძალთა ის განწყობილება, რომელსაც არჩევნები გამოჰხატავენ, შეეხება მხოლოდ ხალხის იმ ელემენტებს, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს არჩევნებსა და საარჩევნო ბრძოლაში. ეს მეტად უბრალო, მარტივი ჭეშმარიტებაა. არა გვგონია, საჭირო იყოს ამ აზრის მეტად გამარტივება. ვთქვათ, დიდი უმრავლესობა ხალხისა სოციალ-დემოკრატები არიან, მაგრამ არჩევნებში კი მონაწილეობას არ იღებენ. ცხადია, არც ერთი სოციალ-დემოკრატი არ იქნება არჩეული, მაგრამ ეს სრულიად იმის დამამტკიცებელი არ იქნება, რომ სოციალ-დემოკრატების მნიშვნელობა საზოგადოებრივ ძალთა განწყობილებაში ნოლს უდრიდეს. სრულიადაც არა. ეს მხოლოდ იმის დამამტკიცებელი იქნება, რომ არჩევნების ნაყოფს ძალა არ უნდა დაეტანოს და ისეთს საგნებზე არ უნდა მოეთხოვოს მას პასუხი, რის შესახებაც მას სრულიად არაფრის თქმა არ შეუძლიან.

თუ ამ წესს გვერდი აუხვიეთ, თუ ნაძალადევად ვილაპარაკეთ არჩევნების ნაყოფი ხალხის იმ ელემენტების საზოგადოებრივ მნიშვნელობაზე, რომილთაც სრულიად მონაწილეობა არ მიუღიათ არჩევნებში, ამ შემთხვევაში არჩევნების ნაყოფის საზოგადოებრივ მნიშვნელობას სრულიად ვერ გავიგებთ.

როგორც ვთქვით, ეს მეტად უბრალო, მეტად ელემენტარული წესია არჩევნების ნაყოფის განმარტებისა, მაგრამ სწორედ ამ უბრალო წესს ჰღალატობენ სოციალ-დემოკრატიული პუბლიცისტები და ესაა მიზეზი, რომ მთელი ორი კვირა დასტრიალებენ ისინი თავის უკანასკნელ არჩევნების ნაყოფს საქართველოში, მრავალ გზით სჯიჯგნიან მას, ყოველთვის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ძლიერებას ამოწმებინებენ ბოლოს-ბოლოს, მაგრამ მაინც თითონვე გერ მოუსვენიათ და ისევ ხელახლა უბრუნდებიან საკითხს. როგორც ვიცით, საქართველოს უკანასკნელ არჩევნებში ქართველ სოციალისტ-ფედერალისტებს არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ. ბოიკოტი, რომელიც სოც.-ფედერალისტთა პარტიამ მიიღო, შეიძლება შეუწყნარებელ ტაქტიკად მიგაჩნდეთ, შეიძლება დაჰგმოთ იგი, ან შეიძლება მოგწონდეთ და ამართლებდეთ მას, მაგრამ როგორი შეხედულებისაც უნდა იყოთ ამ საგანზე, ის კი მაინც აუცილებლად უნდა აღიაროთ, რომ ბოიკოტის ტაქტიკის მეოხებით შეუძლებელი შეიქმნა არჩევნების ნაყოფში მოსძებნოთ გამოსახულება იმ მნიშვნელობისა, რომელიც სოც.-ფედერალისტთა პარტიასა აქვს საზოგადოებრივ ძალთა განწყობილებაში. ვინც მიუდგომელ საზოგადოებრივ კრიტიკის პრინციპებით ხელმძღვანელობს, იმისთვის ეს აზრი შეურყეველი სიმართლეა და ის არც შეეკითხება არჩევნების ნაყოფს, რა საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს სოც.-ფედერალისტთა პარტიასაო. მიუდგომელი პუბლიცისტი ადვილად დაინახავს, რომ ასეთი შეკითხვა სრულიად უნიადაგოა და ამიტომ ამ კითხვის მაგიერ სულ სხვა საკითხს დააყენებს, სახელდობრ იმას, თუ რა კატეგორიებად შეიძლება დანაწილდნენ ისინი, ვინც არჩევნებში მონაწილეობას იღებდნენ, და რა ძალთა ურთიერთობა ყოფილა მათ შორის არჩევნების ნაყოფის მიხედვით. ჩვენმა გაზეთმა სწორედ ასე დააყენა თავიდანვე საკითხი და კიდეც განმარტა იგი. ჩვენს გაზეთში თავის დროზე ახსნილი იყო, რომ უკანასკნელ არჩევნების დროს საქართველოში იბრძოდნენ ერთის მხრივ პარტიულის დისციპლინით და პარტიულის ორგანიზაციით ძლიერნი სოციალ-დემოკრატები, ხოლო მეორეს მხრივ კი ორგანიზაციონურად შეუკავშირებელი და დაფანტული, პარტიულ დისციპლინის გარეშე მყოფნი ბურჟუაზიული და ფეოდალური ელემენტები. იქვე განმარტებული იყო, რომ ეხლანდელი საარჩევნო კანონი დიდს უპირატესობას აძლევს არჩევნებში შეძლებულ კლასსებს, რომ ამ უპირატესობამ რუსეთში გამარჯვება მიანიჭა რეაქციონერებს ოპოზიციაზე, თუმცა ხალხში ოპოზიცია ნამდვილად უფრო ძლიერია, ვიდრე რეაქცია; განმარტებული იყო აგრეთვე, რომ ჩვენებურ არჩევნების ნაყოფი მაჩვენებელი და აღმნიშვნელია იმისა, რომ ჩვენში შეძლებულ კლასსებს საარჩევნო უპირატესობით უფრო ნაკლები ძალა შეჰმატებიათ, ვიდრე დაჰკლებიათ ორგანიზაციის უქონლობით და მოუწყობლობით. ყველა ეს დასკვნა ლოგიკურის აუცილებლობით გამომდინარეობს უკანასკნელ არჩევნების ანალიზიდან, თუ კი საკითხს წესიერად დავსვამთ. მაგრამ ამგვარი დასკვნა ჭკუაში არ უჯდებათ ჩვენებურ სოციალ-დემოკრატიის პუბლიცისტებს. როგორც ყოველთვის, მათ აქაც ის ჰსურთ ათქმევინონ ფაქტებს, რომ „ერთად ერთი პარტია, რომელიც ბოლომდე დემოკრატიის ინტერესებს იცავს, ერთად-ერთი პარტია, რომელიც საბოლოოდ აღმოჰფხვრის უსამართლობას, რა სახისაც უნდა იყოს იგი, ერთად-ერთი პარტია, რომელსაც ჩვენში ძალა აქვს და ხალხიც მისდევს—არის სოციალ-დემოკრატია, ხოლო სოც.-ფედერალისტების პარტია კი—არც ბოლომდე დემოკრატიულია, არც შრომის ინტერესების ნიადაგზე სდგას, არც რაიმე უსამართლობის მოსპობის ნიჭი აქვს, და ამიტომ არც ძალა აქვს, არც ხალხი მისდევს და არც გაჰყვებაო“—ერთის სიტყვით, ჩვენებური სოციალ-დემოკრატები პარტიულ განდიდების ჰანგებზე სცდილობენ აალაპარაკონ უკანასკნელ არჩევნების ნაყოფი. ამ მათს მეცადინეობას კი ბუნებრივის აუცილებლობით მოსდევს საკითხის უკუღმართად დასმა, ერთის მხრივ, და ფაქტების გადაყირავებლება,—მეორეს მხრივ.

ამ მხრივ მეტად საინტერესოა ქართველ სოციალ-დემოკრატების ნაწერები უკანასკნელ ორი კვირის განმავლობაში რაკი ერთი დაისახეს მიზნად ამ პუბლიცისტებმა არჩევნებში სოც. ფედერალისტთა პარტიის დამარცხების ამოკითხვა, მოჰყვენენ და სისტემატიურად ურევენ ერთმანეთში ქართველ მემამულეს, ქართველ ფედერალისტს, ქართველ ავტონომისტს, „ჭეშმარიტ ქართველს“ და სოც.-ფედერალისტს. ზოგიერთნი ისე გავირტუოზდნენ, რომ ახალ ახალ სახელებს სთხზავენ, მაგ. „სოც.-ფედერალისტების სარევოლიუციო ფედერაციას“, და ასე სიტყვათა რახა-რუხით სცდილობენ შეჰქმნან ილიუზია, ვითომ ყველა ისინი, ვინც კი არჩევნებში სოციალ-დემოკრატთა კანდიდატს შავ კენჭებს აძლევდა, სოც.-ფედერალისტი ყოფილიყოს. ნამდვილად, რა თქმა უნდა, არც ერთს სოც.-ფედერალისტს არც არავისთვის შავი კენჭი მიუცია, არც არავისთვის თეთრი ჩაუგდია ეხლანდელ არჩევნებზე, მაგრამ.... მაგარიც ისაა, რომ ამ ფაქტის გადაყირამალავება სწადიანთ და იმიტომაც ირჯებიან ასე ერთგულად. გაზეთ „წყაროს“ მეთაურში (№ 1), მაგ., ვკითხულობთ, უკიდურესი მემარცხენე მარტო სოციალ-დემოკრატიული პარტია არ არის კავკასიაში, ასევე დაშნაკცაკანების და ფედერალისტების პარტია და ამიტომ „დაშნაკცაკანებმა კიდეც გაიყვანეს (დეპუტატად) ერთი თავიანთი კაცი. ბედმა მოიმდურა მხოლოდ ქართველი დაშნაკელები სოც.-ფედერალისტებიო“. ბედი რა შუაშია, ერთი მიბრძანეთ, როცა სოც.-ფედერალისტები თვით არჩევნებში არ იღებდნენ მონაწილეობას? რად აბრალებენ „წყაროს“ პუბლიცისტები ბედს იმას, რაც სრულიად ბედის ბრალი არ არის? ცხადია, იმიტომ, რომ შემდეგ დაასკვნან, სოც.-დემოკრატიის საარჩევნო გამარჯვება საქართველოში სოც.-ფედერალისტების დამარცხებააო. „ჩვენი გზა“ ამას თითქმის პირდაპირ სწერდა, ხოლო „წყარო“ კი მიჰყოლია და თვით ამ დამარცხების მიზეზებს ეძებს. ასე იცის საზოგადოებრივ კრიტიკის გადაქცევამ პარტიულ განდიდების იარაღად. თვით ფაქტი არა ყოფილა, არც შეიძლება ასეთი ფაქტი მომხდარიყო, გაზეთი „წყარო“ კი ამ არ ყოფილ ფაქტის მიზეზებს იკვლევს. ასე ღრმად შეტოპვა სწორედ სამაგალითოა.

ფრიად საგულისხმოა აგრეთვე „ჩვენი გზის“ და „წყაროს“ პუბლიცისტების ერთი აზრი არჩევნების შესახებ. ეს პუბლიცისტები საქართველოში სოციალ-დემოკრატიის გამარჯვებას იმით კი არა ჰხსნიან, რითაც ის ნამდვილად აიხსნება, სახელდობრ, ერთის მხრივ, ბურჟუაზიულ და ფეოდალურ ელემენტების პარტიულ ორგანიზაციის გარეშე ყოფნით და, მეორეს მხრივ, სოც.-ფედერალისტთა პარტიის გაცლით საარჩევნო ბრძოლიდან, არამედ იმით, ვითომ საქართველოში განსაკუთრებითის პირობების გამო ხალხის დიდძალი უმრავლესობა უკიდურესი მემარცხენე იყოს რწმენით და სიმპატიით, ხოლო სოციალ-დემოკრატია კი ერთად-ერთი გარკვეული, მტკიცე და ჭეშმარიტად უკიდურესი მემარცხენე მიმართულების გამომხატავი პარტია. ამ შეხედულების წყალობით ჩვენებური პუბლიცისტები იძულებულ არიან, გამოარკვიონ ეს განსაკუთრებითი პირობები ქართველ ხალხის ცხოვრებისა და არკვევენ კიდეც. ეს განსაკუთრებითი პირობები ყოფილა ეროვნული მჩაგვრელობა, თურმე ეს მჩაგვრელობა კავკასიაში მცხოვრებ ყველა ერისთვის ერთნაირად მძიმე ყოფილა, თურმე ამ გარემოებას პირველს გაუბამს ძმობის სიმები სხვა და სხვა ერთა შორის, რომელსაც ჟღერა დაუწყია მუშა ხალხის „ზეშთაგონების“, კლასსური ცნობიერების გავლენით.

ჩვენ ვთქვით, ეს საგულისხმო აზრიაო. დიახ საგულისხმოა და სწორედ იმ მხრივ, რომ იგი სრულიად არ შეეხამება იმას, რასაც აქამდე სწერდნენ და ამბობდნენ ქართველი სოციალ-დემოკრატები. ამ უკანასკნელთაგან ჩვენ ხშირად გვსმენია, ეროვნებას და ეროვნულ ურთიერთობას განცალკევება და ბრძოლა მოსდევსო, ეხლა კი გვეუბნებიან, ეროვნული მჩაგვრელობა პირველი შემაერთებელი ძაფი იყო სხვა და სხვა ერისაო. აქამდე ჰქადაგებდნენ, ეროვნება კლასსთა ბრძოლას აბნელებს და კლასსთა ბრძოლა ეროვნულ ხასიათის კავშირის დამარღვეველიაო, ეხლა კი ბრძანებენ, ეროვნული და კლასსური ურთიერთობანი ერთმანეთს ხელს უწყობენ, აძლიერებენ და აეღრმებენო. აქამდე ეროვნება პოლიტიკურ და სოციალურ თვითშეგნების დამაქვეითებელ პირობად გამოჰქონდათ, ეხლა ამ ეროვნების გავლენით ჰხსნიან ისინი კავკასიის „საზოგადოებრივი ტემპერატურის“ მეტს სიმაღლეს რუსეთთან შედარებით.

წამოგცდათ, ბ-ნნო ქართველო სოც.-დემოკრატებო, თუ მართლა გუნება გეცვალათ? ხოლო, თუ მართლა აზრი შეიცვალეთ ამ ძირითად საკითხზე, რატომ თქვენი ახალი შეხედულებიდან ბუნებრივად გამომდინარე დასკვნები არ გამოგყავთ?

## ახალი ამბავი

—:—

✦ **ყუმბარების საწყობი.** 31 ოქტომბერს, ღამე სოლოლაკის ქუჩაზე პოლიციელებმა გაჩხრიკეს ვასილ საფაროვის სახლი, რომელიც ვილაცეებს ჰქონიათ დაქირავებული. პოლიციელებმა აღმოაჩინეს საწყობი ყუმბარებისა და სხვა ასაფეთქებელ ნივთიერებათა. ჯერ არ ვიცით რამდენი ყუმბარა უნახავთ. არავინ შეუპყრიათ, [illegible] საწყობის პატრონები იქ არა ყოფილან.

✦ **ზომები ხოლერის წინააღმდეგ.** რადგან ტფ. გუბერნია ხოლერის მხრივ საშიშ გუბერნიად იქმნა გამოცხადებული, განახლდა მუშაობა ქალაქის აღმასრულებელ კომისიისა. კომისიას პირველი სხდომა თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილის თავმჯდომარეობით მოხდა 30 ოქტომბერს. დაესწრო 30-მდე კაცი. ტფილისში ხოლერის შემოტანის შიში ბაქოს გუბერნიიდანაა, სადაც ამ ორი თვის განმავლობაში ხოლერით 150 კაცი გამხდარა ავად და გარდაცვლილა 70 კაცი. კომისიამ დაადგინა: 1. დაევალოს სასანიტარო კომისიას, დაჰყოს ქალაქს საპოლიციო ნაწილები უბნებად და დანიშნოს სასანიტარო მზრუნველები. თითო მზრუნველს 50-მდე ამხანაგი ეყოლება. კომისიამ უნდა შეადგინოს სია მზრუნველებისა და მათი ამხანაგებისა და დასამტკიცებლად წარუდგინოს ქალაქის გამგეობას; 2. კომისიის დადგენილებათა განსახორციელებლად გადაიდოს 3000 მან.; 3. ხოლერიან ავადმყოფებისათვის ავლაბარში ბარაკის მოსაწყობად ეთხოვოს, ქალ. საბჭოს 2000 მ., 4. დამტკიცებულ იქმნას სასანიტარო მზრუნველთათვის სახელმძღვანელოდ შედგენილი ინსტრუქცია; 5. იმ დაწესებულებებსა და კერძო სახლებში, სადაც წყლის კრანია, გამართონ პეშის სისტემის ფილტრები, ხოლო სადაც კრანი არ არის, იქ მუდამ გაცივებული ნადუღარი წყალი იყოს სასმელად; 6. თვეში ორჯელ უნდა ანალიზი გაუკეთდეს წყალს. დასასრულ კომისიამ აირჩია თ. ა. მ. არგუთინსკი და გ. ნ. სტეფანოვი. ამათ დაავალა კომისიამ, თვალ-ყური ადევნონ კომისიის მოქმედებას.

✦ **მოკლული ქალი** 31 ოქტომბერს მნაცაკანოვის ქუჩაზე ნახეს მოკლულ ქალის გვამი. ვინაობა არ გამოურკვევიათ. ქალს ყელზე პირსახოცი აქვს წაჭერილი. როგორც ეტყობა, ქალი დაუხრჩვიათ და გადაუგდიათ.

✦ **პანაშვიდი**. გუშინ, 31 ოქტომბერს, სომეხთა ეპისკოპოსმა რუსინიანცმა ვანქის ტაძარში გადაიხადა პანაშვიდი სომეხთა კათოლიკოსის ხრიმიანის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრო კავკასიის ნამესტნიკი მეუღლითურთ, ნამესტნიკის თანაშემწენი, გუბერნატორი, ქალაქის მოურავი, გამგეობის წევრნი, ხმოსნები, მოხელენი და მრავალი ხალხი. ვაჭრებმა პანაშვიდის გადახდის დროს დუქან მაღაზიები დაჰკეტეს.

## ფელეტონი

### ცოტა რამ ბ-ნ ნ. ჟ—ნიას წიგნის შესახებ

(შემდეგი *)

სინდიკალიზმმა, უფრო კონკრეტულად გეტყვით, ბ-ნო ნ. ჟ—ნია, საფრანგეთის შრომის საყოველთაო კონფედერაციამ დაჰგმო პარლამენტარიზმი თავის პროგრამაში; დაჰგმო იგი, როგორც საშუალება ბრძოლისა, იგი მონაწილეობას **არ იღებს არჩევნებში, არ ირჩევს დეპუტატებს, იგი არ შედის არც ერთ სოციალისტურ პარტიაში**; იგი უარ ჰყოფს კანონიერ პოლიტიკურ მოქმედებას; იგი, როგორც ორგანიზაცია, სულ სხვაა, ვიდრე ს.-დ.—ია, ან რომელიმე სხვა პოლიტიკური პარტია, და რად გიდგიათ ეს ყელზედ? და როცა ლაგარდელი ამბობს, სინდიკატებმა სთქვეს—თქვენ, დეპუტატებო, დაიცვით ჩვენი ინტერესებიო, ჩვენის სახელით ილაპარაკეთო,—ეს სულ სხვაა, ამას არავითარი კავშირი არა აქვს დეპუტატების არჩევასთან, ამისთვის პარტიის შედგენასთან. როგორ არ გესმით განსხვავება? ან როცა ლაბრიოლა ამბობს —სინდიკატი პოლიტიკას უარ-ყოფაო, ეს იმისი აზრია, და სინდიკალიზმი რა შუაშია აქ, როგორც პრინციპი; სინდიკატები რა შუაშია, როგორც ორგანიზაცია? ან იქნებ სინდიკალისტები, შეიძლება, როგორც მოქალაქენი, დეპუტატს ირჩევენ? თქვე დალოცვილო, ან ეს რა შუაშია აქ, როდესაც ისინი შეიძლება პირადად ცოლებსაც კი ეყრებოდნენ, ეს რა ორგანიზაციის საქმეა? თუმცა, წარმოიდგინეთ, საფრანგეთში ეხლა მრავლის-უმრავლესმა მუშამ, განსაკუთრებით სინდიკალისტებმა, პირადადაც კი დაჰგმეს არჩევნები და აღარ იღებენ მონაწილეობას დეპუტატების არჩევაში. სინდიკალიზმი—ეს განხორციელებაა მუშათა კლასსის რევოლიუციონურ ორგანიზაციის პრინციპისა; საფრანგეთის „კონფედერაცია“—ასეთი ორგანიზაციაა, იგი როგორც ამგვარი ჰგმობს პარლამენტარიზმს, რომელიც მას თავის ტაქტიკად არ მიაჩნია. მისი პარლამენტში დაცვა—ყოველ სოციალისტის ვალია, მაგრამ აქედან ის დასკვნა არ გამოდის, რომ სინდიკატების არჩეული იყოს დეპუტატები. სინდიკალისტს შეუძლიან, როგორც მოქალაქეს, კენჭი მისცეს სოციალისტ დეპუტატს, მაგრამ აქედან ის დასკვნა არ გამოდის, რომ „კონფედერაცია“ პოლიტიკური პარტიაა და სახელმწიფო ძალის ჩაგდება, დიქტატურაა მისი პროგრამა, მისი მისწრაფება. ეს განსხვავება როგორ არ იცით, ბ-ნო ნ. ჟ—ნიავ, ან თუ იცით, რისთვის მართალს არ ამბობთ! სხვა არა იყოს-რა, ლაგარდელს რაღას ალაპარაკებთ ტყუილებს? მაგრამ, თქვენდა საუბედუროდ და მისდა საბედნიეროდ, სწორედ თქვენი გამამტყუნებელი ციტატები მოგყავთ იმის წიგნიდან. იგი თვით არ ამბობს, რომ სინდიკალიზმი ცალკეა, პარტია ცალკე, კარგს იზამს დეპუტატი რომ შეგნებულად იმოქმედებს, „საჭიროა მხოლოდ, რომ ისინი (დეპუტატები) თავიანთის გაბედულ თაოსნობით ლაპარაკობდნენ მუშათა კლასსის სახელით **და არა მისის მინდობილებითაო?**“

ეჰ, ნ. ჟ—ნიავ, ამ ბოლო დროს კაი ვაჭრობა დაგიწყიათ: თეორეტიკოსთა აზრსაც რომელიმე საგანზედ ასაღებთ თვით ამ საგნის რეალურ ხასიათად. ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, მაგრამ ვეჭვობ, რომ გამდიდრდეთ მაგისთანა ვაჭრობით! რაც შეეხება ლაბრიოლას—იგი მარქსისტია, როგორც ლაგარდელი, სინდიკალიზმისაგან დაშინებული მარქსისტი, და, რა საკვირველია, რომ იმისი აზრი რევოლიუციაზედ, სინდიკალიზმის დანიშნულებაზედ სულ სხვა იყოს, ვიდრე თვით სინდიკალიზმის რეალური ხასიათია, ან ტენდენცია, მით უმეტეს, რომ იტალიის სინდიკალიზმმა ჯერ ვერ განვლო ფრანგული ევოლიუცია. ერთი სინდიკალისტი, ედუარდ ბერტი, იქამდისაც კი მივიდა, რომ „მარქსისტული ანარხიზმი“ მოიგონა სინდიკალიზმის გავლენის ქვეშ, მაგრამ აქედან ის დასკვნა ხომ არ უნდა გამოვიყვანოთ, რომ სინდიკალიზმი მართლაც მარქსიზმ-ანარხიზმის ნარევია, როგორც ესა ჰსურთ ამ ახალ-მოდის მარქსისტებს. საზოგადოდ—ლაგარდელი, ლაბრიოლა, ფრიდებერგი, პოსსე და ბევრი სხვა სინდიკალიზმის გავლენით გახდნენ მარქსიზმის და პოლიტიკანიზმის მწვალებელნი და არა სინდიკალიზმი შეჰქმნა ამ მწვალებლობამ. ნ. ჟ—ნიას კი სურს ეს მწვალებლობა გაასაღოს სინდიკალიზმად. იმისთვის, მაგალითად, ფერნან პელლუტიე არც კი არსებობს,—ეს დაუღალავი მუშაკი შრომის ბირჟებისა, მათი ორგანიზატორი, მძლავრი პროპაგანდისტი ანტი-პარლამენტარიზმისა და ანარქისტულ იდეალის გამავრცელებელი შრომის ბირჟებშივე, სადაც იგი სეკრეტარობდა. მაგრამ იგი ანარქისტი იყო და აბა ნ. ჟ—ნია მას როგორ მოიხსენიებდა. პუჟე ხომ ს.-დ—ად გამოიყვანა და მოსჭრა მთელ საფრანგეთში პირველ ანარქისტს თავი! ასე თუ იარეს, მალე საწყალ პლეხანოვსაც ჭეშმარიტ-რუსად გახდიან! აკი დაიწყეს!..

ეხლა განვიხილოთ თვით სინდიკალიზმი. მისი ისტორია ხომ სწორად მოგვითხრო ბ-ნ ჟ—ნიამ, და მისი განსაზღვრაც ხომ საუკეთესო მოგვცა. „რა არის სინდიკატი“? კითხულობს ბ-ნი ჟ—ნია. და პასუხის მაგივრად ლაგარდელის მიერ მოთხრობილ ისტორიის ამახინჯებს. ეს მას „განსაზღვრა“ ჰგონია,—ფილოსოფოსობას კი სჩემობს! მაგრამ, უკაცრავად, ცილის წამება არ გვინდა,—აი როგორ საზღვრავს ავტორი სინდიკატს: სინდიკატი ეწოდება მუშათა პროფესსიონალურ კავშირსაო (ფრანგულად სინდიკატი ნიშნავს შეერთებასაო (!?). მაგრამ განსაზღვრა, საუბედუროდ, ისეთივეა, როგორიც მეთოდისა და „ღრიჭინის“ რევოლიუციისა. სინდიკატი პროფესსიონალური კავშირია,—სინდიკატი —სინდიკატია, „ღრიჭინის“ რევოლიუცია, რევოლიუციაა,—ნ. ჟ—ნიას „აქეთ-იქით შეხეთქებაა“! ამაზედ უკეთესი განსაზღვრა გინდათ კიდევ? რომელ ფილოსოფოსს მოსთხოვთ უკეთესს?! არა, ბატონებო, ფილოსოფოსობის დამჩემებელნო,—რეკლიუს, პრუდონსა და კროპოტკინს რომ ლექციებს უკითხავთ,—„საქმე ასე არ იქნების, ბასილა და კვირიკაო!“ ასეთ განსაზღვრებს იძლევით და მართლაც „დავჯდე იქ და ვირიკაო“, თუ რა უნდა ვუყოთ მათ? რა უნდა უყონ მთელმა საქართველოს მშრომელებმა, რომლებიც ჰკითხულობენ თქვენ ნაწერებს და სჯერათ ეგ აბდა-უბდა?

სინდიკატი იმ აზრით, რა აზრითაც ის ეხლა იხმარება რევოლიუციონერთა შორის, სინდიკალიზმი, რომელიც ეხლა მთელი ერთი დოქტრინაა სოციალიზმისა —პროფესსიონალური კავშირია, პროფესსიონალურ კავშირთა თეორიაა და სხვა არაფერი? სად არის აქ განსაზღვრა საგნისა, რომელიც გვიჩვენებდეს ამ მის სტატიკურ მდგომარეობას, ან მის დინამიკურ ფორმულას, რაიცა ერთად-ერთი მეცნიერული განსაზღვრაა. სინდიკატი—პროფესსიონალური კავშირია, ე. ი. ისევ პატივცემული ბროკჰს **самоваръ—всегда самоваръ**—არის და სხვა არაფერი, და თუ მართლაც გნებავთ ჩვენ მუშებს მისცეთ რაიმე წარმოდგენა სინდიკატსა და სინდიკალიზმზედ, განსაზღვრეთ უპირველეს ყოვლისა საგანი ყოვლის მხრით და მაშინ აღასრულებთ მხოლოდ თქვენს მოვალეობას! სინდიკატი თანამედროვე მუშათა მოძრაობაში ნიშნავს საუკეთესო ორგანიზაციას, რომელიც თვით მუშათაგან არის შემდგარი განსაზღვრული სოციალისტურის იდეალითა და განსაზღვრული ტაქტიკით, ორგანიზაცია განსაკუთრებულ ფუნქციათა აღმასრულებელი აწმყოში და განსაზღვრული მიზნისა მომავალში. სინდიკალიზმი—ეს ახალი განსაზღვრული ფორმაა მუშათა მოძრაობისა, რომელიც ასრულებს განსაზღვრულ როლს აწმყოში და განსაზღვრული როლი უნდა აღასრულოს მომავალში.

„საყოველთაო შრომის კონფედერაცია“ საფრანგეთისა, მაგალითად, არის ისეთი ორგანიზაცია მუშათა, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს მთელ სახელმწიფო მექანიზმთან, არავითარი საერთო არა აქვს პოლიტიკურ, პარლამენტალურ პარტიებთან; იდეალად აქვს დასახული უსახელმწიფო კომმუნიზმი, იღწვის მუშათა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად რევოლიუციურ და არა კანონიერ გზით, ემზადება დიდ საერთო გაფიცვისათვის, რომელმაც უნდა დაიწყოს სოციალური რევოლიუცია. ამ ორგანიზაციას ყველა ამის შესაფერი ორგანოები და ფუნქციები აქვს, რომელთა რეგულიარული მოქმედება ხდის „კონფედერაციას“ ერთ დიდ ცოცხალ ორგანიზმად, რომელიც არსებულ სახელმწიფოს ადგილს დაიჭერს მომავალში, შეცვლის რა სრულიად იმ წესს „მოწესრიგებისას“, რომელზედაც დამყარებულია თანამედ-

* იხ. „ისარი“ № 236

ტეს და პანაშვიდ დაესწრნენ. პანაშვიდს დაესწრნენ აგრეთვე სომეხთა სასწავლებლების მოსწავლენი.

✦ **ქალაქის საბჭო**. დღეს, 1 ნოემბერს, საღამოს 8 საათისთვის, დანიშნულია სხდომა ტფ. ქალაქის საბჭოსი. საბჭო განიხილავს მოხსენებას პურის ნიხრის შესახებ, საჩივარს ბელგიის უსახელო საზოგადოებისას გამგეობაზე დაჯარიმების შესახებ და სხვა.

✦ **პოლიციელის მოკვლა**. როგორც სააგენტოს დეპეშა იუწყება, ქუთაისში 30 ოქტომბერს მოუკლავთ პოლიციელი.

✦ „ნახშირას" საზოგადოების საწყობში, მუშტაიდის ქუჩაზე, 30 ოქტომბერს შევარდნილა 5 შეიარაღებული კაცი და ფული მოუთხოვნია. უცნობთ გაუტაცნიათ 60 მან.

✦ ამას წინად თელავში თავს დაესხნენ მემამულის თავ. ჯანდიერის სახლს. ეხლა ამ თავდასხმის გამო შეიპყრეს თელავის მცხოვრები ილია ფირანაშვილი და კალაურის მცხოვრები ალ. ნოზუნიშვილი.

✦ 30 ოქტომბერს საღამოთი ტფ. გაჭარს ხუნატურ ბასენიანცს თავისი მაღაზია დაუკეტია (ბნელ ქუჩაზე) და სახლისკენ წასულა. როდესაც სახლს მიახლოვებია, შესავალში შეუნიშნავს უცნობი კაცი, რომელსაც რევოლვერი დაუმიზნებია. ეს დაუნახავს ბასენიანცის მცველს და აუტეხია ხმაურობა. უცნობი გაქცეულა, მაგრამ დაუპატიმრებიათ. უცნობი აღმოჩენილა გეურქ ტერ-გრიქუროვი. ბესენიანცს პოლიციისთვის გამოუცხადებია, რამდენისამე დღის წინად მივიღე მუქარის წერილი, რომლითაც 3000 მან. მთხოვდნენო.

✦ რუსის ქუჩაზე. პოლიციის მესამე ნაწილში, 29 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, ვიღაც უცნობი ფარაჯანოვის დუქანთან მისული და რევოლვერი გაუსროლია. ტყვია არავის მოხვედრია. ვიდრე ეს ამბავი მოხდებოდა, ფარაჯანოვის მაღაზიის კარებში ვიღაცას პროკლამაცია შეუგდია და დამუქრებია, ამ დღეებში მოგკლავთო. პროკლამაციაში მუქარაა.

✦ 29 ოქტომბერს დაუთვალიერებიათ საგუბერნიო საპატიმროს ის კამერები, სადაც კატორგაში გასაგზავნი პატიმარნი სხედან. ერთს კამერაში აღმოუჩენიათ გაჭრილი იატაკი. როგორც ფიქრობენ, პატიმართ გაქცევა განუზრახავთ.

✦ 30 ოქტომბერს ნავთლუღში, ქალაქის საყასბოს მახლობლად, პოლიციელებმა დააპატიმრეს შუშის მცხოვრებნი აკოფოვი და გალუსტიანი, რომელთაც იარაღები აღმოაჩნდათ. დაპატიმრებულნი საკომენდანტო სამართველოში გაგზავნეს.

✦ ამავე დღეს პოლიციელებმა დააპატიმრეს დათიკო კანონიძე, რომელსაც ბრალდება გალუსტოვის ნავთის საწყობის გამარცვაში მონაწილეობის მიღება და 215 მან. გატაცება.

✦ 30 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზედ, ვიღაცებმა შუაბაზარში ბაგრატიონ-მუხრანსკის სახლთან რევოლვერი გაისროლეს და მიიმალნენ.

✦ გვთხოვენ დავბეჭდოთ: „ტფ. უმუშევართა კავშირი მადლობას უძღვნის შემდეგ ამხანაგ მუშებს, რომელთაც დახმარება აღმოუჩინეს კავშირს: ტრამვაის მომუშავე ამხანაგებისაგან, ე. ი. ცენტრისაგან 29 მ. 90 კ. კონდუქტორებისაგან 8 მ. 25 კ. მელნო-პროკატნი ქარხნისაგან 9 მ. 25 კ.

✦ ტფ. ქალაქის გამგეობის განკარგულებით, რამდენიმე დღე განაგრძობენ პურის სადღელად გამოცხობას იმის გამოსარკვევად, თუ რა ეღირება ნამდვილად გირვანქა პური.

## ქუთაისის ქრონიკა

—:—

✦ საზოგადოებათა და კავშირთა საკრებულომ დაამტკიცა ქუთაისის ვაჭართა პროფესიონალურ კავშირის წესდება.

✦ ინტელიგენტთა ერთმა ჯგუფმა შეიმუშავა ქუთაისის ქართულ დრამატიულ საზოგადოების წესდება და ამ დღეებში წარუდგენს დასამტკიცებლად საზოგადოებათა და კავშირთა საკრებულოს.

✦ პეტერბურგიდან მოვიდა ცნობა, რომ სადგილ-მამულო ბანკის გამგეობის თავმჯდომარედ დაინიშნა ფინანსთა მინისტრის მოხელეო. ამ ნაირად, მთავრობის აპეკა, მიუხედავად ბანკის რწმუნებულთა მრავალკეც შუამდგომლობისა, ვერ ასცდა ბანკს, რომლის საქმეებიც, რაც დრო გადის, უკეთ მიდის.

✦ 27 ოქტომბერს რეალურ სასწავლებლის მოწაფეთა მოთხოვნილებით გადახდილ იქმნა პანაშვიდი ილია ჭავჭავაძის სულის მოსახსენებლად.

✦ 28 ღვინობისთვეს, საღამოს პირად ლევაშოვის ქუჩის შესახვევში ორმა უცნობმა ახალგაზდამ ორჯელ ესროლა რევოლვერი ექიმ ტერ-ტეროვს, რომელიც უვნებლად დარჩა. ტყვიამ გაკაწრა მხოლოდ პალტოს საყელო. მსროლელნი მიიმალნენ. მიზეზი თავ დასხმისა ძნელი ასახსნელია და ვერც თვით ბ-ნ ტერტეროვს გაუგია იგი.

## პროვინციის ცხოვრება

—:—

**ზემო ქართლი**. შიმშილობა ზემო ქართლში, როგორც ყველგან გორის მაზრაში, აუცილებელია: კოდი პური 7 მანეთად ფასობს და ისიც საშოვარიც არ არის. იშვიათად შეხვდებით იმისთანა გლეხს, რომ ჭირნახულს ახლავე არა ყიდულობდეს. სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი გლეხი, გულხელ დაკრეფილი შეჰყურებს მომავალ ზამთარს და გაზაფხულს, დარწმუნებული, რომ ხვალ თუ ზეგ შეიძლება ცოლ-შვილი დაეხოცოს შიმშილით, დღეს ცოტაოდენი პური და დღიურად ნაშოვნი ორიოდე გროში გაახნიათ, ხვალ ესეც შემოელევათ—მაშინ რაღას იზამენ? ძნელი გამოსათქმელია ის სულიერი ტანჯვა, რომელსაც განიცდის გლეხი. სამაგიეროდ, ამ ამბით ხარობენ ზოგიერთნი.

აქაური მემამულენი როსიკო ამირაჯიბი, სოსიკო თარხნიშვილი, გიორგი ამილახვარი და ბევრი სხვანი, არ იქმნა, არ მოურიგდნენ გლეხებს. დღიური გაცემული მიწა ორ დღიურად აქვთ აწერილი და ისიც, მოუსავლობა რომ იქით გადავდოთ, დღევანდელ პურის მაზანდაზე თხოულობენ, ე. ი. შვიდ მანეთს კოდზე. არ გაახნიათ არც კვირა და არც საქმის დღე: ჭიხვიკ და მამასახლისი აცხადებს: „ფლევეიდები, კოდლები და სხვანი კომლზე კაცი დაბარებულნი ხართ სადგომში, (რვა ვერსის სიშორეზე სოფელში მისვლით არ აწუხენენ თავს) დადების თაობაზე და თუ არ გამოცხადდით, ვაი თქვენ ტყავსაო". გლეხებსაც, მიუხედავად ზოგჯერ ცუდის ამინდისა, აბა რა თავი გაქნევთ, მიდიან, მაგრამ მათ ხშირად მემამულენი იქ არ უხვდებიან. ამის მიზეზი, რასაკვირველია, გახდავთ ხან ცუდი ამინდი და ხან სხვა რამ.

დაახლოვებით ასეთი შინაარსის წერილი მოუვიდა გლეხს ჯულაძეს სოსიკო თარხნიშვილისაგან: „მე საზღვარ გარედ მივდივარ, ფულები მესაჭიროება და დაუყოვნებლივ შემოკრიბეთ ფული (რასაკვირველია, შვიდ-მანეთობაზე კოდი), და მასხლით, წინააღმდეგ შემთხვევაში, მაგ ფულს ხომ აგკრებ, ზედ-მეტად მაისის ფულს (საძოვრო ფულის) ახლავე გადაგახდევინებთ და შემდეგშიაც მზრუნველად ხუთავს (ალის საზ. მამასახლისის) დაგიყენებთო".

ამათ საქციელს წინ აღუდგა მომრიგებელი შუამავალი თავ. კ. ამირეჯიბი, რამაც გამოიწვია მემამულეების მხრივ საჩივარი და თხოვნა, ვისთანაც ჯერ არს, რომ გადაეყენებინათ თანამდებობიდან მომრიგებელი შუამავალი, როგორც გლეხების მომხრე. გამოძიება სწარმოებს.

ასე ამნაირად აწვალებენ და აცდენენ გლეხებს გომში სიარულით და მუქარის წერილების წერით.

არც გიორგი ამილახვარი ჩამორჩა სხვებს და ან რად ჩამორჩება? „ნუ დაჰკარგავ ძველსა გზასა, ნურცა ძველსა მეგობარსაო", ამბობს ქართული ანდაზა და ესეც, როგორც „ჭეშმარიტი ქართველი", როგორ უღალატებს ამ მამაპაპურ ანდაზას. საღამოს რვა საათი იქნებოდა, რომ ერთი ხმაურობა და ჩოჩქოლი ასტყდა ს. მოხისში, ზოგი გაიძახოდა—არიქა, თავს უშველეო. ყაზახები დაგვეცნენო, და ზოგიც სხვებს ასახელებდნენ. ბოლოს გამოირკვა შემდეგი: სოფელში შესულიყო გიორგი ამილახვარი ათი შეიარაღებულ თათრით. სასტიკი ბრძანება გაეცა: მოიტათ ურმობით თივა, იჯარაზე თვითეულ ცხენისათვის ფუთი ქერი, ბინა, საჭმელი და სხვა. სოფელმა, მეტი ჩარა არ იყო, დააკმაყოფილა. მეორე დღეს მათრახებითა და თოფის კონდახებით (მიუხედავად იმისა, რომ წინააღმდეგობა არავის გაუწევია) მოაგროვეს მთელი სოფელი და მოსთხოვეს დალა, უკვე გადახდილი. წარუდგინეს ბარათები მოურავს სოლომონ ორჯონიკიძის ხელ მოწერილი და ბეჭედ დასმული, მაგრამ ამილახვარმა არ მიიღო. სოფელმა ერთი კვირის განმავლობაში გადაიხადა დალა (ესენი სოფლის ხარჯზე სცხოვრობდნენ—თერთმეტი კაცი, თერთმეტი ცხენით). შემდეგ ამილახვარი სხვა სოფელში წავიდა.

გ.

—:—

**სოფ. ნატახტარი** (დუშეთის მაზრა). 28 ოქტომბერს სოფელ ნატახტარში თავს დასხმია ბ. ყარანგოზიშვილი სტრაჟნიკებით და დაუტუსაღებია ამავე სოფლის მცხოვრებლები ვანო იმერლიშვილი, ლევან თვალიაშვილი, ია თვალიაშვილი და სოფ. წეროვანის, მცხოვრებელი ჩაბალაშვილი. ამათ ყველას აბრალებენ საქართველოს-სამხედრო გზაზე მეურმეების და მგზავრების ცარცვას. ია თვალიაშვილი მესამე დღესვე გაუნთავისუფლებიათ, სხვები დუშეთის სატუსაღოში დაუტოვებიათ. როგორც მნახველები ამბობენ, ვანო იმერლიშვილისთვის ისე უცემნიათ, რომ თურმე მთლად დალურჯებული აქვს ტანი, თავპირი დასიებული და ყურთ თუ მაან არ დაუყვირე, არაფერი ესმისო. ასეთ ცემის შემდეგ, როგორც გადმოგვცეს, ვანოს კიდევ დაუსახელებია სხვა და სხვა პირნი, ვითომ იმისი ამხანაგნი ყოფილიყვნენ ცარცვა-გლეჯის დროს.

—ლი.

## თეატრი და ხელოვნება

**ქუთაისი**. ქართულ გიმნაზიის შენობაში, 27 ღვინობისთვეს, გაიმართა სალიტერატურო და სამუსიკო დილა ილია ჭავჭავაძის სახსოვრად. დარბაზი ლამაზად იყო მორთული; მშვენიერი სურათი განსვენებულ პოეტისა ყვავილებით იყო შემკული. დილა დაიწყო ქართულ ისტორიის მასწავლებლის სვ. ქვარიანის რეფერატით, რომელმაც კარგი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე: რეფერენტი ხანგრძლივის ტაშის ცემით დააჯილდოვეს, შემდეგ ამისა ხორომ შარაბიძის ლოტბარობით მწყობრად შეასრულა რამდენიმე ხმა. საუცხოვოდ წაიკითხეს მოსწავლეებმა ლექსები. დილის პირველ განყოფილებაში მერვე კლასის მოწაფემ ლომინაძემ წაიკითხა რეფერატი ამ სათაურით „პესიმიზმი ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებში". რეფერატი შინაარსიანი აღმოჩნდა და დაგვანახვა, რომ რეფერენტს კარგად ჰქონია შესწავლილი სპეციალური ლიტერატურა პესიმიზმის შესახებ. რეფერენტი აღტაცებულის ტაშით დააჯილდოვეს.

მეორე განყოფილებაში თავი ისახელა მერვე კლასის მოწაფემ შოთა დადიანმა, რომელმაც წაიკითხა დასაბუთებული რეფერატი ილია ჭავჭავაძის სალიტერატურო და საზოგადო მოღვაწეობის შესახებ. დეკლამატორთა შორის განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია პატარა დათეშიძემ, რომელმაც აღტაცებაში მოიყვანა მსმენელნი შანშიაშვილის ლექსის „მოჰკლეს ილიას"-ს წაკითხვით. დასასრულ ორკესტრმა სამი ხმა შეასრულა და დამსწრეთა თხოვნით უკანასკნელი ნომერი გაიმეორა. ახლად მოწვეულმა დირიჟორმა ორკესტრისამ ბ-ნმა კვაჭანტირაძემ დაგვანახვა, რომ შრომით და მუყაითობით ბევრი რამ შეიძლება გაკეთდეს.

გიმნაზიის დარბაზმა პირველ დღეს ვერ დაიტია ყველა მოსწავლენი და ამიტომ დაბალ კლასების მოსწავლეთათვის მეორე დღეს განმეორდა სალიტერატურო დილა.

წარმოდგენამ, რომელიც გამართა ქალაქის თეატრში ილიას ფონდის გასაძლიერებლად, კარგად ჩაიარა და მრავალი ხალხი დაესწრო.

## რუსეთი

✦ **მატიუშენკოს ჩამოხრჩობა**. 1905 წ. ზაფხულში ვინმე ფელდმანისა და მატიუშენკოს აჯანყება მოხდა ჯავშნოსან „პოტემკინზე". ორივენი გაიქცნენ და საზღვარ-გარედ იმალებოდნენ. ფელდმანი მალე დაიჭირეს და კატორღა მიუსაჯეს, მაგრამ გზიდან გაიქცა და ეხლაც მიმალულია. მატიუშენკო ჯერ რუმინიაში იყო, მერე ამერიკაში წავიდა, ამ ზაფხულს ისევ რუსეთში დაბრუნდა საიდუმლოთ, მაგრამ გაუგეს და დააპატიმრეს. ამას წინად სამხედრო სამართალმა გაარჩია მისი საქმე და ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა. სასამართლომ ცხადი უკანონობა ჩაიდინა, ვინაიდან ოქტომბრის მანიფესტის ძალით მისთვის უნდა მიესაჯათ მხოლოდ 15 წლით კატორღა. ვექილმა მოსამართლეებს მოაგონა ეს მანიფესტი, მაგრამ ყური არავინ მიუგდო. მეორე დღეს მატიუშენკო ჩამოახრჩვეს.

✦ **ახალი პარტიის ზრდა**. ამას წინათ ვიუწყებოდით, რომ პეტერბურგში ვიტტესა, სუვორინისა და მენშიკოვის მეთაურობით დაარსდა ახალი ველიკორუსული ეროვნული პარტია. ეხლა იუწყებიან, რომ პარტია დღითი დღე იზრდება და ღონიერდებაო. ეხლა გამოირკვა, რომ ახალი პარტია დაარსდა უმაღლეს წრეების სურვილით. ამ აზრს დაებლოუპა ვიტტე, რომელსაც კიდევ იმედი აქვს პოლიტიკურ ასპარეზზე დაბრუნებისა. ვიტტე ახალ პარტიას ქონებრივ დახმარებასაც დაჰპირებია, მაგრამ ბევრს არ მოსწონს ამ საქმეში ვიტტეს ჩარევა, რადგან ის „ჭეშმარიტი ნაციონალისტი" არ არისო.

### წერილი რედაქციის მიმართ

(ილია ჭავჭავაძის საღამოს გამო)

ბ-ნო რედაქტორო!

წარსულ შაბათს გამართულ საღამოს მოწყობა მე მქონდა მინდობილი წ. კ. საზოგადოების გამგეობის მიერ, მე შევადგინე საღამოს პროგრამა, რომელიც შემდეგ მოიწონა გამგეობამ, მე გიცავ უმთავრესი ფაქტიური პასუხისმგებელი [illegible] მეცით ორიოდე [illegible] თქვენი გაზეთის [illegible] თაურისა და რეცენზიის დამწერთ.

სრულებით აზრად არა გვაქვს თავის გამართლება და იმის დამტკიცება, რომ „საღამო" კარგად იყო მოწყობილი. გვინდა მხოლოდ ზოგი რამ განვმარტოთ საზოგადოებისათვის. საკვირველია და სამწუხაროა ის საზოგადო დასკვნა, რომელიც დაასკვნეს ზემოხსენებულ წერილების ავტორებმა: განსვენებულ ილიას სახელი გალანძღეს, არავის მისი პატივისცემა არ ჰქონებია, საღამოს პროგრამას არავითარი გარკვეული შინაარსი არ ჰქონდაო!

დავიწყოთ უკანასკნელიდამ. პროგრამის შედგენის დროს ჩვენ ასეთი მიზანი გვქონდა წინ დასახული: 1) დახასიათება ი. ჭავჭავაძისა მისი ავტობიოგრაფიით და მოგონებათა და საღამოსთვის განგებ დაწერილ ლექსების შემწეობით, 2) დახასიათება მისი მისივე ნაწარმოებით და მის ლექსებზე შეთხზული მუსიკით. ი. ჭ—ის საღამოები ყოველ წელიწადს უნდა იმართებოდეს მის დაბადების დღეს და მარტო წლევანდელ საღამოზე მისი სავსებით დახასიათება მოუხერხებელი იყო. ამიტომ ჩვენ დავკმაყოფილდით ზოგიერთ მოგონებით და ნაწარმოებით, თუმცა ვცდილობდით, რომ ამ „საღამოშიაც" გამოაშკარავებულიყო ილიას პოეზიის უმთავრესი თვისებები. ამის მიხედვით შევადგინეთ პროგრამა, რომელიც აქვე მოგვყავს: 1 განყოფილება: ავტობიოგრაფია, მოგონებანი ილიას შესახებ ე. გაბაშვილისა, ა. ლეისტისა და ი. ევდოშვილისა და ლექსები დ. განდეგილისა და კ. მაყაშვილისა. 2 განყ.: ქართველო ხელი ხმალს იკარ! (ხორო), თუმცა სიცოცხლე სნეულთათვის (დედა და შვილიდამ), ქართლის დედას, ნანა (სიმღერა), გუთნის დედა, შრომისა შვილო (ანდრ.), გაზაფხული (სიმღერა). 3 გან.: მას აქეთ, რაკი შენდამი; მესმის, მესმის; ელეგია (სიმღერა), ნაწყვეტი დაუბეჭდავი მოთხრობიდან (კაკო), ჩემო კარგო ქვეყანავ (სიმღერა), პარიჟი, მამაო ჩვენო, დედა ღვთისაო ეს ქვეყანა (ხორო). აი პროგრამა. ვერავინ იტყვის, რომ იგი ვერ ახასიათებდეს ილიას პოეზიის უძლიერეს მოტივებს: თავისუფლების და მამულის აღტაცებულს სიყვარულს, შრომისა და მშრომელთა დაცვას და ქებას.

რაც შეეხება პროგრამის შესრულებას, ვინ დასწერს უკეთეს მოგონებას—ე. გაბაშვილი და ა. ლეისტი, თუ სხვა, ეს მერე გამოჩნდება, რაცა ყველას მოვუსმენთ მოგონებებს. 27 ოქტომბრისთვის კი საკმაო იყო სამი მოგონება.—ლექსებისა და სხვა ლიტერატურ. ნაწარმოების წაკითხვა საზოგადოდ დიდს სიძნელეს წარმოადგენს. მეტად კარგი და იშვიათი წამკითხველი უნდა იყოს ადამიანი, რომ შთაბეჭდილებას მოახდინოს, ინტერესი გამოიწვიოს და შესაფერი გრძნობა აღუძრას მსმენელს. პეტერბურგსა და მოსკოვშიაც ვერ ახერხებენ ყოველთვის ლიტერატურულ საღამოს მოწყობას, მით უფრო ძნელია ჩვენში, სადაც კარგი წამკითხველი თითქმის არავინ მოგვეპოვება. ჩვენ მოვიწვიეთ წამკითხველებად, ვისაც ასე თუ ისე იცნობდა საზოგადოება, ცოტაოდენი გამოცდილება ჰქონდა, წაუკითხავს ლექსი სცენაზე თუ სხვაგან საჯაროდ. იმით ვიმედოვნებდით, რომ თუ წელს სუსტი გამოვიდა საღამო, ასეთი ლიტერატურული საღამოები მომავლისთვის მაინც შექმნიდა სკოლას. ქართველს მომუსიკესაც და მომღერალს ხელის თითებზე ჩამოითვლით. ბევრი ვეძებეთ, ყველას გამოვკითხეთ, მაგრამ ერთი ორის მეტი ვერავინ გამოვნახეთ. რაც არ არის—არ არის.

ვის უნდა მიეღო „საღამოში" მონაწილეობა, ეს გამოცხადებული იყო გაზეთებში და არავის აზრად არ მოსვლია მათი გვარებით რეკლამის გაკეთება. მონაწილეები გამოვაცხადეთ მას შემდეგ, რაც ყველასაგან გადაჭრილი თანხმობა მივიღეთ, და თუ ზოგიერთებმა გვიღალატეს (არ გამოცხადდა ხუთი) და ამით დიდი ვნება მოუტანეს „საღამოს", რა უნდა ექნათ გამგებს? რა ზომებით შეიძლებოდა იმ პირების მოყვანა? რა რეპუტაცია უშველიდა საქმეს, როდესაც მაგალითად ერთი არ გამოცხადდა „საღამოზე" იმიტომ, რომ ცოლი უქეიფოთ გახდაო, მეორე—ტანისამოსი ვერ ვიშოვეო, მესამე—წვერი ვერ მოვიპარსეო?

მაგრამ ყველა ამ განმარტებას თავი გავანებოთ. სრული ჭეშმარიტებაა, „საღამო"

---

როვე სახელმწიფო,—განდევნის რა ავტორიტეტს და დაამყარებს თავისუფალ კონტრაქტს.

ეს არის, ფართოდ, რომ განვსაზღვროთ, თანამედროვე სინდიკატი, სინდიკალიზმი, კონფედერაცია საფრანგეთისა, როგორც კონკრეტული მაგალითი სინდიკალიზმის ასეთი ფორმისა. თორემ სინდიკატი — პროფესიონალური კავშირიაო რომ ვსთქვათ—ეს არაფერს არ ნიშნავს; ეს იგივე განსაზღვრა იქნება—მანქანა რკინისაო, რომა ვსთქვათ. ტყუილად იმტვრევს ბ-ნი ე—ნია თავს,—სინდიკატები ს. დ. პარტიას შეადაროს და თვით პუქეც ს. დ—ად გამოიყვანოს. როგორც მისი ისტორია იყო ნამდვილი, ისე ეს შედარებაა.

ჩვენ არც სინდიკალიზმის დახასიათებას შევუდგებით აქ, არც ეს არის ჩვენი მიზანი, მხოლოდ აღვნიშნავთ მის ანარხისტულ ხასიათსა და ს. დ—ზმისგან განსხვავებას. 1. თანამედროვე სინდიკალიზმი, როგორც ორგანიზაცია, მზგავსად ანარხისტებისა, გადაჭრით უარ-ჰყოფს: a) პარლამენტარიზმს, დეპუტატობის არჩევნებში მონაწილეობის მიღებას; b) სახელმწიფო ძალის ხელში ჩაგდებას და მუნიციპალურ ძალის ხელში ჩაგდებას; c) პროლეტარიატის დიქტატურას მომავალში, სახელმწიფოს მანქანის საშუალებით სოციალურ რევოლიუციის მოხდენას. 2. იგი არ არის პოლიტიკური ორგანიზაცია, პოლიტიკური „პარტია", არამედ პროფესიონალური ორგანიზაცია მომარტო მუშათა. 3. მისი ორგანოები და ფუნქციები სრულიად განსხვავდებიან რომელიმე „პარტიის" ფუნქციათა და ორგანოთაგან. 4. მისი მომავალი იდეალი არის ანარხიულ-კომმუნისტური, როგორც ამას თვით სინდიკალისტები სწერენ მუდამ და თვით პროგრამშიაც უწერიათ. 5 წინააღ. ს. დ—იისა, ისინი აღიარებენ საყოველთაო გაფიცვას, რომელიც „უკანასკნელ ბრძოლის" დროს იწყებს თვით სოციალურ რევოლიუციას. 6 სინდიკალისტები მომხრენი არიან პირდაპირ მოქმედებისა ყოველ შემთხვევაში, ს. დ—ები კი უმეტესად კანონიერ მოქმედებას მისდევენ. 7. სინდიკალისტები მომხრენი არიან რეფორმათა მოპოვებისა აგრეთვე პარლამენტის დაძალებით, გარედან, პირდაპირი მოქმედებით, როგორც ანარხისტები,—ს. დ—ები კი დეპუტატების წყალობით, სახელმწიფოს კანონმდებლობის საშუალებით.

ერთის სიტყვით, არც კი შეიძლება მათი შედარება, ისე ეწინააღმდეგება ერთმანეთს სინდიკალიზმი და ს. დ—ია. ერთი ნამდვილი მუშური ორგანიზაციაა, გარეშე სახელმწიფოსი და ბურჟუაზიისა, მათი სრული უარმყოფელი აწმყოშიაც და მომავალშიაც, მსურველი მათის მოსპობისა,—მეორე „პარტიაა", პოლიტიკური პარტია, სავსე ყოველნაირის ელემენტით—მუშებით, ბურჟუებით, კაპიტალისტებით, ინტელიგენციით და სხვ.,—კანონიერი პარტია, სახელმწიფოს მორწმუნე აწმყოშიაც და მომავალშიაც, ავსტრო-უნგრეთში ხელმწიფის ოვაციების გამმართველიც კი, ბელგიაში 1903 წელს ხელმწიფის წინაშე თხოვნის მიმრთმევიც კი! საიდან სადაო, წმინდაო საბაო! სად სინდიკალისტები და სად ს. დ—ია!

Bâton.

(დასასრული იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუსტი იყო. მერე რა შუაშია აქ გოდება იმის შესახებ, რომ ილიას პატივისცემა არ გვქონია, მალე დავივიწყეთ განსვენებული და სხვა და სხვა? 27-ს ოქტომბერს სალიტერატურო საღამოები ათს ადაგას მაინც გაიმართა საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში. უეჭველია, ზოგან კარგად იქნებოდა მოწყობილი, ზოგან სუსტად. სადაც შემთხვევით კარგი წამკითხველები იქნებოდნენ, იქ კარგად ჩაივლიდა საღამო; სადაც ასეთები არ იყვნენ, იქ სუსტი იქნებოდა. პატივისცემა განსვენებულისადმი ამით არ განიზომება. შეიძლება კაცი უსაზღვროდ პატივს სცემდეს მგოსანს, მაგრამ ძალიან ცუდად ჰკითხულობდეს მის ლექსებს. შეიძლება გამოუცდელობისა და შემთხვევის მიზეზით ვერ მოაწყოთ ილიას „საღამოს“, მაგრამ ეგ სრულებით არ ნიშნავს, რომ მისი პატივისმცემელი არა ხართ.

დიდი სულმოკლეობაა, როცა ადამიანს რამე ცუდი შეემთხვევა და მაშინვე დაიწყებს მოთქმას და ტირილს: დავიღუპეთ,დ ავიმსეთ, ქვეყანას ბოლო ეღებათ! გაზეთს, რომელიც საზოგადო ცხოვრების იდეოლოგი უნდა იყოს, არ შეჰფერის ამგვარ სულმოკლეობას ხელმძღვანელობდეს. 27-ის ოქტომბრის „საღამო“ სუსტი იყო და სუსტი. ამის გამო არც განსვენებული ილიას სახელი ყოფილა შეურაცხყოფილი, არც საქართველო ჩავარდნილა განსაცდელში. უნდა ვეცადოთ მხოლოდ, რომ მომავალში უკეთესად მოვაწყოთ საქმე.*)

**ს. ფირცხალავა.**

# დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან.

**რ უ ს ე თ შ ი.**

30 ოქტომბერი

**პეტერბურგი**. ხოლერის შესახებ სააგენტომ მიიღო შემდეგი ცნობები: ეკატერინოსლავში ავად გახდა 3, მორჩა 2, გარდაიცვალა 1; კიევში ავად გახდა 4, მორჩა 6, გარდაიცვალა 1, ავად არის 163; ნოვონიკოლევსკში ავად გახდა 3; ტროიცკში ავად გახდა 2; ჩელიაბინსკში ავად გახდა 2, გარდაიცვალა 1; სუჯანის მაზრაში ავად გახდა 5, გარდაიცვალა 2; სურაჟის მაზრის სოფ. პერელაზში ავად გახდა 14; სოსნიცკის მაზრის სოფ. მაკოშინში ავად გახდა 2; ნონის ოლქში ავად გახდა 1, გარდაიცვალა 1; ნიჟეგოროდის გუბერნიაში გარდაიცვალა 1; ჩერნიგოვის გუბერნიაში სენის გაჩენიდან ავად გახდა 106, გარდაიცვალა 52; ნიჟეგოროდის გუბერნიაში ავად გახდა 500, გარდაიცვალა 246.

**გროდნო**. ბიელსკის მაზრის სოფ. ბოცკაში ვიღაც უცნობებმა დასჭრეს ურიადნიკი.

**ირკუტსკი**. საპატიმროს ინსპექტორს სახლში შეუვარდა სამი ხანჯლებით და რევოლვერებით შეიარაღებული კაცი. აურზაურის შემდეგ ისინი გაიქცნენ, მაგრამ სამნივე შეიპყრეს. ერთმა შეპყრობის დროს უბნის ზედამხედველს რევოლვერი დაუმიზნა, მაგრამ არ გაუვარდა.

**ლოძი**. ერთმა პოლიციელმა და ორმა ცხენოსანმა დარაჯმა ცნობა მიიღეს, რომ სეგელნიანის ქუჩაზე ვიღაც მეფაბრიკეს ჩაუსაფრდნენო. პოლიციელები იქითკენ გაემართნენ და მართლაც ნახეს ერთი საეჭვო კაცი, რომელიც მათ მიახლოვებაზე ალაყაფის კარებისაკენ გაიქცა და ოთხჯერ გაისროლა. პოლიციამ სროლითვე უპასუხა და უცნობი მოჰკლა. ჯიბეში უნახეს რევოლვერი და ორი პასპორტი სხვის სახელზე.

29 ოქტომბერს ლისნერის ფაბრიკის მიდამოში თავს დაესხნენ ამ ფაბრიკის ოსტატს და დასჭრეს.

*) ამ წერილის ბოლო საკამათო საგანს სრულებით არ შეეხება: ჩვენ წერილში არც საქართველოს დაღუპვაზე იყო ლაპარაკი და არც სხვა რამ ამისთანაზე. ჩვენ ნათლად და გარკვევით ვამბობდით, რომ ჩვენ ინტელიგენციას არაფრის შნო არა აქვს, იგი ისეთ უბრალო საქმის მოწყობასაც-კი ვერ ახერხებს, როგორიც მგოსნის ხსოვნის პატივსაცემი საღამოა. რომ ხსენებული საღამო უშნოდ, ულაზათოდ და შეუფერებლად იყო მოწყობილი, ამას ყველა დამსწრენი ერთ ხმად ამოწმებენ. არც წერილის ავტორი ჰყოფს ამას უარს. გვქონდათუ არა ამის შემდეგ უფლება გვესაყვედურნა გამგეთა და მონაწილეთათვის? თუ უფლებაც გვქონდა და თუ ამასთან სიმართლეც აღვნიშნეთ, მაშასადამე, რა შუაშია აქ ჩვენ სულმოკლეობაზე ლაპარაკი! ეს უადგილოც არის და მეტიც. არც ის არის კარგი, რომ წერილის ავტორი ყველაფერს იმათ აბრალებ, ვინც პირობა მისცეს და კი არ გამოცხადდნენ. უმთავრესი ის არის, რომ საღამო უშინაარსო იყო და თუ გამგეს არ შეეძლო შინაარსიან საღამოს მოწყობა, უნდა ისე მოქცეულიყო, როგორც ამ შემთხვევაში იქცევიან: უნდა მოეწვია სხვა და სხვა დაწესებულების, ჟურნალ-გაზეთების და სხვათა წარმომადგენელნი, შეადგინა განსაკუთრებული წრე და იმათვის მიენდო საქმის გაძღოლა.

**რედაქცია.**

31 ოქტომბერი.

**მოსკოვი**. დილით ადრე ცეცხლი გაუჩნდა სოლოდოვნიკოვსკის საოპერო თეატრს. თეატრის ერთი ნაწილი დაიწვა. განადგურდა სცენა და დეკორაცია. სახურავის ერთი ნაწილი ჩამოინგრა. ერთი მოსამსახურე დაიწვა. მიზეზი ცეცხლის გაჩენისა არ იციან.

**პავლოგრადი**. მიწის მომწესრიგებელმა კომისიამ დაადგინა, შეიძინოს საგლეხო ბანკის საშუალებით გრაფინია ვორონცოვ-დაშკოვის ამული 5004 დესეტინა.

**ხერსონი**. ქალაქის განაპირას, ზაბალკად წოდებულ ადგილას, მღებავის ბინაში ნახეს ყუმბარა. მღებავი დააპატიმრეს.

**სოსნოვიცი**. 29 ოქტომბერს გენის ფაბრიკის ეზოში პარტიულ ნიადაგზე მოჰკლეს ერთი ნოქარი. მკვლელებმა 18 გაისროლეს და სოქრის მხლებელი ბიჭიც დასჭრეს.

**ხერსონი**. ახალ პრაგაში თავის სახლში მოჰკლეს უფროსი პოლიციელი.

**ლოძი**. პეტროკოვის ოლქის სასამართლომ 12 წლით კატორგა მიუსაჯა მუშას, რომელსაც მეორე მუშის მოკვლა ჰბრალდებოდა.

**პეტერბურგი**. სახ. სათათბირო გაიხსნება 1 ნოემბერს, დილის 11 საათზე, ხოლო სახ. საბჭო ნაშუადღევის $4^1/_2$ საათზე.

**მოსკოვი**. საოპერო თეატრში ცეცხლმა გაანადგურა სცენა, პარტერი, ბელეტაჟი, იარუსები, დეკორაცია, საორკესტრო ინსტრუმენტები და ნოტები; ფოიე და ბუფეტი გადაარჩინეს. ცეცხლში დაიღუპა დეკორაციის ოსტატი. თეატრი და მოძრავი ქონება დაზღვეული ყოფილა.

**კუნგური**. ღამე სამი ნიღაბ აფარებული კაცი მივიდა პოლიციელთან და პაპიროსის მოსაკიდებლად ცეცხლი სთხოვა. როცა პოლიციელმა ასანთს მოუკიდა, ოთხის ტყვიით დასჭრეს და მიიმალნენ.

**კიშინიოვი**. შემნახველ კასების რევიზორმა ბელეცკის ხაზინაში აღმოაჩინა სიყალბე და 200 ათას მანეთის გაფლანგვა. დააპატიმრეს ბუხჰალტერი და ოპერაციათა გამგე.

**იაროსლავი**. მოსკოვის სამოსამართლო პალატამ სტატსკი სოვეტნიკის შვილს სტუდენტს დაგაევს ერთი წლით ციხეში ჯდომა მიუსაჯა, ს.-დემოკრატიულ პარტიის წევრობისათვის.

**უ ც ხ ო ე თ შ ი.**

30 ოქტომბერი.

**ბუდაპეშტი**. დიდის ხნის კამათის შემდეგ ხმის უმეტესობით მიღებულ იქმნა კომპრომისის პროექტი.

31 ოქტომბერი

**ვენა**. დეპუტატთა პალატა. მინისტრებს დარბაზში დეპუტატთა ერთი ნაწილი ტაშის ცემით მიეგება, ხოლო ჩეხელმა რადიკალებმა და სოციალისტებმა ხმაურობა ასტეხეს. მინისტრ-პრეზიდენტმა ბეკმა პალატას ახალი მინისტრები წარუდგინა. ხელ-ახლა დიდი ტაში ერთ მხრივ და ხმაურობა ჩეხებისა—მეორე მხრივ. გერმანელმა სოციალისტებმა პროტესტი განაცხადა ჩეხ-პრაშეკის მინისტრად დანიშვნისა გამო. ჩეხმა რადიკალმა კლოფაჩმა ჩეხურად ილაპარაკა და პროტესტი გამოაცხადა ორივე ჩეხ-მინისტრის პალატაში შემოსვლისა გამო.

**ბერლინი**. „კელნიშე-ცაიტუნგს“-ს აუწყებენ ბერლინიდან, რომ მთავარ კითხვათა შორის, რომელიც უნდა გაარჩიოს პრუსიის ლანდტაგმა, არის ეგრედ წოდებული პოლონეთის კანონ-პროექტი. რადგან გერმანელ მემამულეთა მიწები ჯერ კიდევ გადადის პოლონელების ხელში, ჰფიქრობენ იმ კომისიას, რომელიც გადასახლების საქმეებს განაგებს, მიანიჭონ უფლება მალით მიწების ჩამორთმევისა.

რედაქტორ-გამომცემელი

**ე. ავალიშვილი.**


# განცხადებანი

**გ ა მ ო ვ ი დ ა**

ახალი სრულიად შესწორებული და შემუშავებული

## ქართული წერის დედანი

**და**

**სახატავი ნიმუშები**

**ს. დათეშიძისა.**

იყიდება ტფილისში წერა-კითხვის მაღაზიაში და ქუთაისში გ. ბეჟანეიშვილის მაღაზიაში ფასი 20 კაპ. ვინც ავტორისაგან გამოიწერს არა ნაკლებ 20 ცალისა, მას დაეთმობა 10%.

ადრესი: ქუთაისის ქართულ გიმნაზიის მასწავლებელს სამსონ დათეშიძეს. (10—3—1)

## იყიდება

ორ-სართულიანი სახლი თავის სარდაფით. სახლი შეიცავს თოთხმეტ (14) ოთახს. სახლი კუთხეშია. პირველ საპოლიციო ნაწილში, მელიკი პერეულკაზე, № 8. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ სახლის პატრონს. (4—391—4)

პირველი კერძო სამკურნალო

## დოქ. ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წ.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ყოველ დღე, კვირეებს გარდა.

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი**; 11—12 ს ქირურგ. ვენერიული (სიფილისი) და საშარდე.

**ე. მ. ჩიქოვანი**: $9^1/_2$—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ფ. ი. ბაბანასოვი**: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვების.

**მ. გ. აგეფისიანცი**: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი**: 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**გ. ი. გელაშვილი**: 1—2 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**ა. ი. კარაპეტიანცი**: 1—$1^1/_2$ ს. შინაგანი და საბავშვო.

**ა. ი. შჩერბინინა**: $1^1/_2$—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

**გ. ი გურგენოვი**: 1—2 საათ. ქალებისა და საბებიო.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ა. ი. გრიგორიანი**: 6—7 ქირურ., ვენერ., შარდ. და კანისა.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

(ხალ.—152)

1—2 მან. აიღებს მსურველი დღეში.



## საჭიროა

**თანამშრომელნი ორივე სქესისა**

საქსოვ სამუშაოსთვის ჩვენ მსწრაფლ-მქსოველ მანქანებზე. რისამე წინდაწინვე ცოდნა საჭირო არ არის. მანძილს მნიშვნელობა არა აქვს. საქონელს ჩვენ თვითონ ვყიდით. პირობებს უფასოდ უგზავნით.

**პირველი კავკას. ამხანაგობა**

მსწრაფლ-მქსოვ მაშინებისა შინაურ წარმოებისთვის.

ადრესი: Тифлисъ, Верійскій спускъ д 15 и 5. (100—71—78)

# ავადმყოფებს და სუსტებს „სპერმატინი“

თუ თქვენ დასუსტებული ხართ ფიზიკურ ან გონებრივ მუშაობით, თუ ჯანი გაიტეხეთ, ნერვები დაისუსტეთ ან ესა თუ ის სენი გჭირთ, **სასოწარკვეთილებას ნუ მიეცემით**: არის „სპერმატინი“. იგი სასურველ შვებას მოგცემთ. მას არ შეიძლება მედიკამენტი ვუწოდოთ, რომელიც ერთ რაიმე ადგილზე მოქმედებს, არა! ეს ნივთიერება სრულიად უვნებელია, იგი ცხოვრების **ესენციაა**, იგი **ძალის მომმატებელია**. „სპერმატინი“ მოქმედებს სისხლზე და აახლებს მას, აშორებს რა მავნე ელემენტებს. ჰხვდება რა იქ, სადაც უჯრედები ორგანიზმში რაიმე **სენის** ან სიბერის გავლენის ქვეშ იმყოფება, „სპერმატინის“ ნაწილები, ჯანმრთელობის დარაჯნი, იწყებენ ნაყოფიერ მუშაობას უჯრედების აღსადგენად, აწვდიან მას ახალ სისხლს და ახალ ძალას და ამით შეძლებას აძლევენ ბრძოლისას როგორც სენთან, ისე ყველაფრის გამანადგურებელ დრო-ჟამთან. **«სპერმატინი“** შედგება **ბროუნ-სეკარის** შესანიშნავ აღმოჩენისა. ჰშველის ყველაფერს: **სისხლნაკლებობას, ძალის სისუსტეს სიბერეში, მარაზმს, დაუძლურებულ ნერვიულ სისტემას, მამაკაცის სიუძლურეს, გადაჭარბებულ დაღალულობას გონებრივ და ფიზიკურ მუშაობის დროს**, ონანიზმის შედეგს და წითელ ქარა, სიფილისს, სურავანდს, დამბლას, სქესობრივ მოჭარბებულ ურთიერთობის შედეგს, ხერხემლის ტვინის სატკივარს, პლექს, ქარებს, ქრონიკულ მუცლის შეკვრას და სხვას. ეს საშუალება საუკეთესო ნაყოფს იძლევა.

**ავადმყოფთა წერილები.**

**ბ. ი. გ. ახობაძეს**. თითქმის მთელი ხუთი წელი ვიტანჯებოდი სისხლის ნაკლულევანებით, უკანასკნელ წელიწადს ძლიერ დავსუსტდი და შევიქენი ნამეტანი ნერვიანი. რაც დრო გადიოდა, უარესად ვხდებოდი და მაკლდებოდა სიცოცხლე. დავკარგე მადა, ძილი და ენერგია. დამიწყო ფეხებისა და თავის ტკივილმა. ამ ხუთის წლის განმავლობაში ვხმარობდი სხვა და სხვა წამლებს, აგმოწერილს სხვა და სხვა ექიმებისაგან, მაგრამ, ამაოდ ჩამიარა ამ წამლობამ, რის გამოთაც შემომაკლდა წამლობის სახსარი და დავკარგე მორჩენის იმედი. ამის შემდეგ გავიგე, რომ ტფილისში იყიდება წამალი ყოველ გვარ ავადმყოფობისა „სპერმატინი“ ბატონ ახობაძესთან, წარმომადგენელს მოსკოვის ლაბარატორიისა ივანოვის. მოსკოვის ქუჩაზე მეოთხე ნომერში. ვიყიდე ერთი ფლაკონი და ვიწყე მისი მიღება. ერთის კვირის განმავლობაში ვიგრძენი სატკივრის შემსუბუქება. ამის შემდეგ განვთავისუფლდი ყველა იმ ავადმყოფობისაგან, რომლებითაც ვიტანჯებოდი ხუთ წელიწადს და იმედი მაქვს, რომ „სპერმატინი“ მომანიჭებს ჩემს დაკარგულს ჯანს. ამით დავივიწყებ ჩემს წარსულს უბედურებას თუ რომ გადამარჩენს ექიმების **რეცეპტებს და ვიზიტებს**, ჩემთვის უსარგებლოს. პატივისცემით: **ვ. მნაცაკანოვისა**, ტფილისი, 22 აგვისტო.

**ბ. ი. გ. ახობაძეს.** ტფილისში, მოსკოვის ქუჩა, № 4. მოწ. ხელმწ. ბ. გ. ახობაძე, წავიკითხე თქვენი განცხადება გაზეთ „ჩვენ გზაში“, რომ თქვენ კანტორაში იყიდება „სპერმატინი“ ლაბორატორიის ივანოვისა, რომელიც არჩენს სხვა და სხვა ავადმყოფობას. ჩვენი ავადმყოფობა შემდეგი იყო: ორი წელიწადი ავად ვარ ნერვების აშლილობით, გულის ფრიალით, სისუსტითა და მომდიოდა ხშირად გულის წუხილი. ნამეტანი რევმატიზმებით, წელის ტკივილი, და ძვლების ტეხვა. როდესაც მივიღე ოთხი ფლაკონი თქვენი სპერმატინი“, სულ გავნთავისუფლდი მოხსენებულს სატკივრებისაგან და ამ თქვენ წამლის მიღებამდე ვიხმარე ბევრი წამლები, გამოწერილი ექიმებისაგან, მაგრამ არა მიშველა რა. კიდევ დიდს მადლობას გწირავთ, ბ. ი. ახობაძევ, და ვიქნები მუდმივ თქვენი მლოცველი ჩემის შველისათვის.

ადრესი ჩემი ქუთაისის გუბ. და მისი მაზრა სოფ. ვანი, **ივანე ბალანჩივაძე.**

მოწ. ხ. **ბ. ი. ახობაძევ.** სიტყვა ვერ გამომიძებნია მადლობის გამოსაცხადებლად თქვენ მიერ გამოცემულ „სპერმატინისათვის“, ლაბორატორიის ი. ნ. ივანოვისა. 2 წელზედ მეტი ვიტანჯებოდი ძალის სისუსტით, გულის ფრიალით, ხველებით, ნერვების დაუძლურებით, აგრეთვე ხელების კანკალით. როცა მივიღე მარკოზ კვარაცხელიასაგან ერთი ფლაკონი, უკედ გავხდი. მერე ვიხმარე მეორე და მესამეც. ეხლა, ერთის სიტყვით, სულ განვახლდი. ყველა ამისთვის გულწრფელად გმადლობთ და ღმერთს ვევედრები თქვენთვის. თქვენი პატივის მცემელი **ვიჩი ბლიფენმე**. სოფელ ოტომაიას მცხოვრები, სოხუმის ოლქის და გალის ნ.-წილისა. 12 ოქტომბერი, 1907 წ.

„სპერმატინი“ განვლილი წლის ბოლომდე ვრცელდებოდა ამ სახელით «სპირმანი“ ნ. ნ. ივანოვისა და ამ. სახელით, ეხლა-კი, ნ. ნ. ივანოვის სიკვდილის შემდეგ, იგი მზადდება იმის ძმის ი. ნ. ივანოვის ლაბორატორიაში რეცეპტის შეუცვლელად. „სპერმატინ“-მან ნ. ივანოვისამ, დღეს-კი «სპერმატინმა» ი. ნ. ივანოვისამ დაიმსახურა აურებელი სამადლობელო წერილი, ოქროს მედალი და უმაღლესი ჯილდო რუსეთში, პარიზში, ბრიუსელში.

უფრთხილდით სიყალბეს და მიბაძვას. წიგნაკები უფასოდ. ფასი ერთი ფლაკონისა 2 მ. 40 კ. გაგზავნა ერთიდან 4 ფლაკონამდე 40 კ. 5-დან 10-მდე 65 კ. შუა აზიაში ორჯელ ძვირია, აღმოსავლეთ ციმბირში—სამჯერ. გამოწერა შეიძლება ფოსტით, მხოლოდ წინდაწინვე უნდა გამოიგზავნოს ბე ფოსტის მარკებით ან ფულით—მესამედი ფასისა.

**წარმომადგენელი კავკასიისთვის ი. გ. ახობაძე**. ტფილისი, მოსკოვის ქუჩა, ს. გაბაევისა № 4. **უბეოდ საქონელი არ იგზავნება**. (0—5.—4)

↔ პასუხს ვაგებთ საქონლის სიკარგისათვის! ↔



# კალოშებისა

**და სხვა რეზინის საქონლისათვის**

## უმაღლესი ჯილდო

(GRAHD-PRIX)

პარიზის გამოფენაზე მიესაჯა რუსეთში მხოლოდ „რუსეთ-ამერიკის სარეზინო მანუფაქტურის ამხანაგობას“, **რომელიც დაარსდა 1860 წელს.**

სთხოვენ მუშტარს რეზინის კალოშების ყიდვის დროს ყურადღება მიაქციოს ბეჭედს ძირზე, განსაკუთრებით ამხანაგობის დაარსების წელიწადს **„1860“** და სიტყვა „ს.-პეტერბურგს“, რომელიც წითლად არის შემოვლებული.

ნარდად საქონლის ვაჭრობა ხდება

სავაჭრო სახლში

## ლეოპოლდ ნეიშელლერ

პეტერბურგსა, მოსკოვსა, რიგასა, ოდესასა, ეკატერინბურგსა

**ტ ფ ი ლ ი ს შ ი,**

დონის როსტოვსა, ხარკოვსა, ირკუტსკსა, კიევსა და ტაშკენტში.

აქვე ნარდად იყიდება **ფეხსაცმელი** პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა.

იქვეა საწყობი რუსეთისა და საზღვარ-გარეთელ ტყავისა. (100—89)


სტამბა „იდეალი“ (მ. დ. კიკნაძისა) ნიკოლოზის ქ. № 6.